

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
სახეითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი
სახეითი ხელოვნების დეპარტამენტი

პროგრამის სახელწოდება	სამოსის დიზაინი
სტრუქტურული ერთეული	უწყვეტი განათლების ცენტრი
კოდი	CAF2
პროგრამის მოცულობა ECTS	60 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.
სწავლების ენა	ქართული
სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა	პროგრამის ხელმძღვანელი - ქეთევან ვაჩიშვილი მხატვარი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სახეითი ხელოვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი - ქსოვილის კომპოზიცია და მასალაში მუშაობა; ნინო ნიჟარაძე - მხატვარი, აჭარის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, პროფესორი - ტექსტილის და სამოსის ისტორია; დიანა თალაკვაძე - ასოცირებული პროფესორი - სამოსის კომპოზიცია.
დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზანი	პროგრამის გავლის შედეგად მსმენელი დაეუფლება სამოსის დიზაინისათვის აუცილებელ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ღირებულებებს. შეძლებს განახორციელოს ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით.
ცოდნის შეფასების სისტემა	მსმენელი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. მსმენელი „ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	ევრისტიკული მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; - პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრეზენტაცია;

	<p>სტუდენტთა აქტივობები: ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობა; პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; წყაროზე და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ-რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; გამოცდების მომზადება-ჩაბარება;</p> <ul style="list-style-type: none"> • სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.
ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა	სასწავლო კურსის გავლა შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად.
სწავლის საფასური	სწავლის საფასური განისაზღვრება საათის ღირებულების მიხედვით. 1 აკადემიური საათი 15 ლარი. ჯგუფთან ერთად კურსის გავლის შემთხვევაში 1 აკადემიური საათის ღირებულება შეიძლება განისაზღვროს დადგენილ ნორმაზე ნაკლები ოდენობით.
კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა	სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

N	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა		
				სულ	საკონტ.	დამოუკ.
CAf2c-1		ქსოვილის კომპოზიცია და მასალაში შესრულება	6	150	60	90
CAf2c-2		სამოსის კომპოზიცია	3	75	30	45
CAf2c-3		სამოსის კომპოზიცია	6	150	60	90
CAf2c-4		სამოსის კომპოზიცია	6	150	60	90
CAf2c-5-1		კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება	6	150	60	90
CAf2c-5-2	CAf2c-5-1	კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება	5	125	50	75
CAf2c-5-3	CAf2c-5-2	კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება	5	125	50	75
CAf2c-5-4	CAf2c-5-3	კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება	15	375	150	225
CAf2c-6		ტექსტილის და სამოსის ისტორია	5	125	50	75
სულ			60	1500	600	900